№ 59

პარასკევი,
6 ნოემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 59

პარასკევი,
6 ნოემბერი
1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკოდა სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადებეს ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

### თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს პირველათ განახლების შემდეგ ე. ფ. ნაპრავნიკის **„დუბროვსკი“** ოპ. 4 მოქ. მონაწილეობენ ქ-ნნი: ელაგინა, ფერრარი, შულგინა; ბ-ნნი: გალეცკი, გუკასოვი, გურონი, დემიანენკო, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი. დასაწყისი სალ. 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ gala წარმოდგენა პირველათ განახლების შემდეგ **«ჰუგენოტები»**. კვირას, 8 ნოემბერს ორი წარმოდგენა: დილით დაკლებულ ფასებში 20 კ.-დან **«ჰენზელ და გრეტელ»**, საღამოს **«მხიარული ქვრივი»**. მზადდება წარმოსადგენათ **«კორნევილის ზარები»**.

### თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (წ-6—3)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

### ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. შაბ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის **50** კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (წ—6—3)

### ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—1)

### ვღებავ თმას

დედაკაცისას და მამაკაცისას შავათ და მიხაკის ფერათ. ადრესი: რუსის ქ. № 3, ბინა 14, იკითხეთ ბუხრაძე. (5—1)

съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

### НАШЪ КРАЙ

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литературныя силы, такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

**Подписная цѣна:** Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **Отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

**კბილის ექიმი**

### ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. ვოგზლის ლეჩებნიცაში 9 საათიდან 11 საათამდის.

**სამოქალაქო ან სასულიერო სასწავლებელში კურს-დამთავრებულს, ნიჭიერს და მშრომელ ყმაწვილს მასწავლებელი**

### სიმონ გრიაზნოვი

პირობით ამზადებს გიმნაზიის მე-6 კლასისათვის ისე, რომ მოწაფე წარსდგეს ეგზამენზე მომავალ მაისში ან აგვისტოში. აგრეთვე ზემლემერის სკოლისათვის. მსურველთ პირობები ეცნობება წერილით. (3—3)

Тифлисъ. Вера, Измайловскій пер. № 6.

კბილის ექიმი

### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

### „НОВАЯ РѢЧЬ“

**Отдѣльный № 3 коп.**

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ

Адресъ: Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь“ Дворцовая, домъ груз. дворянства.

Ред.-изд. **П. А. Готуа.**

### გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—11)

### ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—3)

### ბათუმში

**გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

### გიორგი მახარაძესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.**

(10—1)

## თფილისი, 6 ნოემბერი.

ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ ქუთაისში საგუბერნიო თათბირზე ერობის შემოღების შესახებ კარები გამოუკეტეს საზოგადოებას და თვით პრესის წარმომადგენლებსაკი. რას ნიშნავს ეს? ვისგან გამომდინარეობს ასეთი განკარგულება? ჩვენ წინ გაიარა თფილისში წინასწარმა სათათბირო კრებებმა იმავე კითხვის შესახებ, ბევრს საშუალება ჰქონდა დასწრებოდა, პრესის წარმომადგენლებსაც საპატიო ადგილი ჰქონდათ დათმობილი. თვით ოფიციალურ კრებებზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გუბერნატორი, საზოგადოება ბლომათ ესწრებოდა, ქალაქის საბჭოს დარბაზი ზევით და ქვევით გაჭედილი იყო. კრებების ანგარიშები თითქმის სიტყვა-სიტყვით იბეჭდებოდა გაზეთებში და ამნაირათ, ფართო საზოგადოება დაინტერესდა ერობის საკითხით. იგივე კითხვები, რომლებიც საგუბერნიო თათბირზე ირჩეოდა, მერმე საჯარო ლექციების თემათ გაიხადეს თათბირის მონაწილეებმა და კიდევ მეტ საზოგადოებას მისცეს საშუალება გაცნობოდა ყოველივე იმას, რაც გაკეთდა თათბირზე.

ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, რომ თფილისში საგუბერნიო თათბირის უმრავლესობა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე აგებულ ერობის მოსარჩლეთ ყოფილიყოს, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ, რაც იქ კეთდებოდა, ვინ როგორ ერობას ებრძოდა, ეს შეიქნა საზოგადოებისათვის ცნობილი პრესის საშუალებით.

ქუთაისში კი ყოველივე უკუაგდეს ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებმა ჩაიკეტეს კარები და თავისთვის ბჭობენ—როგორი ერობა მოგვხდებაო. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის უმრავლესობა ერთ დროს „ძმობაში, ერთობაში და თანასწორობაში“ ეფიცებოდა გლეხებს, მზათ იყო ყოველივე პრივილეგიებ-უპირატესობაზე ხელი აეღო და ხალხისთვის გაეხსნა ფართო სამოქმედო ასპარეზი დღეს ყოველივე ეს მათ მიივიწყეს, თავის პრივილეგიებს მარჯვეთ ჩასჭიდეს ხელი, ხალხის მტრებთან შეგობრულათ კვლავ მოეწყვენ და მათი დახმარებით ხალხს ართმევენ ყოველივე სამოქმედო საზოგადო ასპარეზს და თვით ისაკუთრებენ, როგორც ამას შვრებიან მათი თანამოძმეები რუსეთში. მხოლოდ ამით აიხსნება საზოგადოების და პრესის წინაშე კარების გამოკეტვა და ჩუმათ ბიუროკრატიის წარმომადგენლებთან ვაჭრობა, რათა მომავალ ერობაში თავად-აზნაურობას ხელში ექნეს ყველა ის სადავეები, რომელსაც ასე ელერსებოდენ თფილისის საგუბერნიო თათბირზე ბ.ბ. ჯანდიერ-ჯორჯაძეები და ხალხი კი მხოლოდ საწველ ფურათ იქნეს დატოვებული.

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

**მეცამეტე სხდომა.**

4 ნოემბერი.

სახელმწიფო დუმის მეცამეტე სხდომა გაიხსნა 4 ნოემბერს. თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. დუმამ განაგრძო ადგილობრივ სასამართლოების რეფორმების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. პირველათ ილაპარაკა ეპისკოპოსმა ევლოღიმ. მან აღნიშნა, რომ კოლეგიალური სასამართლო უმჯობესია, რადგან „ერთი ჰკუა კარგია და ორი კი უკეთესიო“. შემდეგ პურიშკევიჩმა მთელი თავისი მჭერმეტყველობით გაილაშქრა კანონ-პროექტის წინაამდეგ. მან სთქვა, რომ კანონ-პროექტი ვერ არის მომწიფებული და სრულიად არ შეეფერება რუსეთის დღევანდელ ცხოვრებას. პურიშკევიჩის აზრით თუ ეს კანონ-პროექტი განხორციელდა მომრიგებელი მოსამართლეები ვერ იქნებიან წმინდა წყლის. ამის დასამტკიცებლათ მოყავს მაგალითი —საერობო კრების ხსენებათ რომ მაკლაკოვი, აჯემოვი, მილიუკოვი და როდიჩევი იყოს, განა აირჩევენ ისინი მოსამართლეთ პურიშკევიჩს? (აჯემოვი თავს აქანებს—საზოგადო სიცილია) დასასრულ პურიშკევიჩი თავის სიტყვაში სავსებით იცავს საერობო უფროსთა ინსტიტუტს. შემდეგ ლაპარაკობს ლიახნიცკი. ის შრომის ჯგუფის სახელით თხოულობს კანონ-პროექტი კომისიას გადაეცეს. შემდეგ იუსტიციის მინისტრი თავის პირველ სიტყვაში ეხება გმინის სასამართლოებს და ამბობს, რომ ამ ტიპის სასამართლოები რუსეთისთვის შეუფერებელი იქნება. ის მომხრეა არჩევნებითი სასამართლოს ინსტიტუტის, მხოლოდ საჭიროთ მიაჩნია ქონებრივი ცენზის დაწესება. ლაპარაკობენ ობრაზცოვი, შუბინსკი და შილო. სხდომა წყდება. სხდომის განახლებისას განაგრძობენ პროფესიონალური კავშირების შეკითხვის შესახებ კამათს. კუზნეცოვი ვრცელი სიტყვით ცდილობს დაარღვიოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის სიტყვა და აცხადებს შემდეგ ფორმულას ს.-დემოკრატების სახელით: „მოვისმინეთ რა მთავრობის განმარტება პროფესიონალური კავშირების დევნის შეკითხვის შესახებ და ვსცანით რა, რომ მთავრობას ამ გზით სურს გაანადგუროს საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციები და კერძოთ პროფესიონალური კავშირები, რომ მთავრობა სისტემატიურათ არღვევს 4 მარტის კანონს და ხშირათ სრულიად გვერდსაც უხვევს, რომ ის ამავე დროს მფარველობს მწარმოებელთა ორგანიზ., რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკა ცუდ პირობებში აყენებს მუშებს მწარმოებლებთან ბრძოლის დროს, უმეტესათ დღევანდელ პირობებში—სახელმწიფო დუმა მთავრობის მოქმედებას უკანონოთ სცნობს და მის განმარტების არა დამაკმაყოფილებლათ და გადადის მორიგ საქმეებზე (მარცხნით ტაშისცემა). პურიშკევიჩს დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია მინისტრის ამხანაგის სიტყვა და შემდეგი კამათი მეტათ მიაჩნია, რადგან პროფესიონალურ ორგანიზაციების პოლიტიკანობა დამტკიცებულათ მიაჩნია. მომხსენებელი გოლოლობოვი ამტკიცებს, რომ შეკითხვა დაუსაბუთებელია, ამ აზრის არის მოტვილოვიც. შემდეგ ლაპარაკობს ჩხეიძე. ის ამბობს, რომ შეკითხვის მიზანს გამოამჟღავნებს მთავრობის მოქმედება. მთავრობა ამბობს: იბრძოლეთ თქვენი ეკონომიური ინტერესებისთვის, მაგრამ პოლიტიკას ნუ შეეხებით. ეს იგივე იქნება, რომ სთქვან... (გამოტოვებულია) ხდება კლასობრივი ბრძოლა, მუშებს ყოველდღე წინ ეღობება პოლიტიკა და მათ ორგანიზაციებს კი უკრძალავენ მის შეხებას. თითონ მთავრობა კი არა ერთხელ ცდილობდა შეეტანა მუშებში პოლიტიკა, რის მაგალითია „ზუბატოვშჩინა“. ცენტრის წარმომადგენელი განათლებული ბურჟუა პროტოპოპოვი მთავრობას არ ჩამოუვარდა: მან აღიარა, რომ კლასობრივი ბრძოლა დღითი-დღე იზრდება, საჭიროთ სცნო პროფესიონალური ორგანიზაციების არსებობა, მაგრამ იქვე დაუმატა, რომ ამ ორგანიზაციებში პოლიტიკა უნდა მოისპოს. ცენტრის ასეთი დამოკიდებულება პროფესიონალურ ორგანიზაციებთან იროდისებური დამოკიდებულობაა ბეთლემის ყრმებთან. დამაკმაყოფილებელი არაა აგრეთვე ჩხეიძის აზრით კადეტების ფრაქციის პასუხი. ფრაქციამ თავის წარმომადგენლის პირით განაცხადა, რომ არ შეიძლება პროფესიონალური კავშირების წინაამდეგ სასტიკი ზომების მიღება, ორატორის სიტყვით დემოკრატიის მიმდევრები ვერ დაკმაყოფილდებიან ამ პასუხით, ჩვენ ს-დემოკრატები, დაასრულა ჩხეიძემ—მიუხედავათ დუმის პროფესიონალურ კავშირებისადმი დამოკიდებულებისა, ვიმუშავებთ იმ მხრით, რომ მუშათა კლასის დირექტივები სავალდებულო შეიქნეს, როგორც მთავრობის წარმომადგენლებისთვის, ისე თქვენთვის (მარცხნით ტაშის ცემა). წინადადება შეაქვთ კამათის შეწყვეტის შესახებ. აცხადებენ კადეტების და ს.-დემოკრატების მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ ფორმულას. ბარონი მეიენდორფი ოქტომბრისტების სახელით კითხულობს შემდეგ ფორმულას: „ვსცანით რა, რომ ადგილობრივი საზოგადოებათა და კავშირების საკრებულო თავის მოქმედებით ნდობას უკარგავს ამ დაწესებულებებს. უძნელებს რუსეთის ქვეშევრდომთ ისარგებლონ კანონიერი უფლებით კავშირების და საზოგადოებების დაარსების დროს—დუმა სურვილს აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭირო ზომები მიიღოს აასრულებიოს დაწესებულებებს 1906 წლის 4 მარტის კანონი და გადადის მორიგ საქმეებზე“. კენჭის ყრით უარყვეს კადეტების, ს.-დემოკრატების, პროგრესისტების და პოლონეთის კოლოს ფორმულები. მიიღეს ოქტომბრისტების ფორმულა. სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 6 ნოემბერს.

## სინდიკატ-ტრესტები რუსეთში და მათ წინაამდეგ ბრძოლა.

(დასასრული)

ბელგიაში 1886 წელს მიიღეს კანონი, რომელიც კაპიტალისტების კოალიციებს ანთავისუფლებს სრულიად ყოველგვარი დევნისაგან. გერმანიაში არასოდეს არ ყოფილა იგი აკრძალული და დღესაც ნება-დართულია. საფრანგეთში 1884 წლიდან არსებობს კაპიტალისტების კავშირების თავისუფლება. ასე რომ, დღეს კაპიტალისტური ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებებს აზრათაც არ მოსდით ტრესტების აკრძალვა. ჯერ ერთი, რომ მათი არსებობის იურიდიული აკრძალვა ვერ აღწევს მიზანს, კაპიტალისტებს ათასი საშვალება აქვთ ხელთ შემოუარონ იურიდიულ ნორმებს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ დღევანდელი საკანონმდებლო დაწესებულებანი და მთავრობები ბურჟუაზიულ ქვეყნებში ვერ ასცდება მსხვილი კაპიტალის გავლენას. რიცხვით მცირე, ფინანსიური და სამრეწველო ტუზები ძლიერ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ხშირათ მთელი სახელმწიფო ძალა მათი ყურმოჭრილი მონა არის. ამის მაგალითი ჩვენ დავინახეთ ამერიკაში, როცა რესპუბლიკანური პარტიის ბელადი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი— რუზველტი შეეცადა ამას წინათ ტრესტების თავგასულობის ალაგმვას. კაპიტალისტებმა ამ თავხედობისათვის მას „ჭკუა ასწავლეს“ და რუზველტიც ბოლოს იძულებული გახდა ქედი მოეხარა მათ წინაშე. საფრანგეთის რადიკალური მთავრობა ხომ ნამდვილი ყურმოჭრილი მონა გამოდგა ფინანსისტებისა; ამ მთავრობის შინაური და გარეშე პოლიტიკა თავიდან ბოლომდე მათი პოლიტიკაა, მარა

ესეც რომ არ იყოს, როგორც ზევით ვთქვით, ტრესტების და სინდიკატების იურიდიულათ აკრძალვა საქმეს არ შველის და ოდნავათაც არ უშლის ხელს მათ ფაქტიურ არსებობას და განვითარებას. ასეთია ტრესტებისა და სინდიკატების აკრძალვის ბედ-იღბალი!

ზოგიერთები შესაძლებლათ სთვლიან ტრესტების ალაგმვას|კანონის გამოცემით, რომელიც ნებას მისცემს მთავრობას სადამოჟნო გადასახადები დაუკლოს ან სრულიად მოსპოს უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე, როცა ტრესტმა ასეთსავე საქონელზე შიგნით ფასები ასწია, მარა ეს საშვალებაც ვერ მოსპობს ბოროტ-მოქმედებას. იგი მხოლოდ დააჩქარებს ინტერნაციონალური ტრესტების და სინდიკატების დაარსებას, ე. ი. სხვა ქვეყნის კაპიტალისტებთან შეთანხმებით ისინი ადვილათ შესძლებენ სრულიად დაუკარგონ მნიშვნელობა ხსენებულ კანონს. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ზემოთ მოხსენებულმა „ერობათა რკინის კავშირმა“ მიუთითა მთავრობას რკინაზე ბაჟების შემცირების საჭიროებაზე, რომელიც აიძულებდა რუსეთში მომქმედ სინდიკატებს ფასების დაკლებას, სინდიკატმა „კროვლიამ“ რიხიანათ განაცხადა, რომ თუ ეს ზომა განხორციელდება, იგი მოელაპარაკება საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს და სრულიად შეაწყვეტინებს მათ რუსეთში ლითონის შემოტანას. და ეს უბრალო დამუქრება არ იყო. ნაციონალურ მიუკარებლობას ბურჟუასთვის იქ არ აქვს ადგილი, სადაც ჯიბის გასქელება შეიძლება.

უჩვენებენ აგრეთვე ანტი-სინდიკატურ სამრეწველო დაწესებულებების დაარსებაზე მთავრობის დახმარებით, მარა ეს ხომ იგივე ახალი სინდიკატის დაარსებაა იმ განსხვავებით, რომ მას მთავრობა დაეხმარება.

მომხმარებელთა შეკავშირება, როგორიც არის მაგალითად, მომხმარებელი კოოპარატივები, რასაკვირველია, ცოტათი დაეხმარებიან მცხოვრებთ წვრილი ჩარჩ-ვაჭრების ჩამოშორებით და გააიაფებენ ხელმოკლე ხალხისათვის ცხოვრებას, მარა ეს გაიაფება უმნიშვნელო იქნება, რადგან საქონლის სიძვირის მთავარი მიზეზი—ტრესტები და სინდიკატები ხელუხლებლები დარჩებიან და კოოპერატივები ვერ შესძლებენ მათთან გამკლავებას.

დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში ამ ბოლო დროს ბევრ ადგილას პოპულარული შეიქნა ნაციონალიზაციის იდეა. მოითხოვენ სახელმწიფოს ხელში გადავიდეს წარმოების ის დარგები, სადაც სინდიკატი და ტრესტები ძლიერ განვითარდნენ და ბაზრის და წარმოების შეუზღვუდელი მონოპოლისტები გახდენ. მარა ეს საკითხი არ გადაიჭრება კერძო ნაციონალიზაციის შემწეობით. თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების სხვადა სხვა მხარეები და დარგები ისე მჭიდროთ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული, რომ აქედან ერთი რომელიმე დარგის გამოყოფა და მისი სხვა საფუძველზე მოწყობა პირდაპირ შეუძლებელია, როცა სხვა დარგებში სულ სხვა გვარი წესია გამეფებული. ტრესტებ-სინდიკატების განვითარება მჭიდროთ შეკავშირებულია მთელ კაპიტალისტურ სისტემასთან და ის უკუღმართობა, რომელიც თან სდევს მსხვილი კაპიტალის გაერთიანებას, მხოლოდ ერთი კერძო შემთხვევაა ამ სისტემისა. ვისაც სურს მოისპოს პირველი, მან უნდა მოითხოვოს მთელი სისტემის მოსპობა. არა ერთი რომელიმე დარგის ნაციონალიზაციით, არამედ მთელი წარმოების ნაციონალიზაციით ე. ი. სოციალიზაციით შეიძლება მოისპოს ტრესტები და მათ მიერ შექმნილი უკუღმართობა. გიგანტიური ტრესტებისა და სინდიკატების განვითარება გამოწვეულია საწარმოვო საშუალებათა პროგრესით. მისი განსაზოგადოება, მწარმოებელთა ხელში გადასვლა, აი რა მოსპობს ზემოთ მოხსენებულ უკუღმართობას. ეს ერთად ერთი რადიკალური საშვალებაა, ყველა დანარჩენი კი პალიატივია.

ნ. ხ.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი.

## სპარსეთი.

**კაზვინი.** ბრწყინვალეთ იდღესასწაულეს მეჯლისის გახსნა. ცერემონიას დაესწრო რუსეთის საკონსულოს წარმომადგენელი ჯარის უფროსი ოფიცრებითურთ. უკრავდა რუსების ორი სამხედრო ორკესტრი. რუსების დღესასწაულზე დასწრებამ სპარსელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სპარსელებმა მეფეს დღეგრძელობა უსურვეს.

## საზღვარ-გარეთ

**ბერლინი.** დიდი თოვლის გამო ტელეგრაფის მავთულები და სვეტები დაშავდა. ცნობების მიღება ცოტა ხნით შესწყდა.

**პრაგა.** ჩეხიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეზე 4 ნოემბერს ღამით დიდი ქარ-ბუქი და სეტყვა მოვიდა. მატარებლებს დააგვიანდა. დეპეშების მიღება შესწყდა.

**ვენა.** „კორესპონდენტ.-ბიუროს“ სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ახალი კანონის ძალით სამხედრო სასამართლოს წესით პასუხის გებაში მისცეს 27 ბოლგარელი.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** 4 ნოემბერს ღამით გაძარცვეს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მეარტელე. უცნობებმა მას 2,500 მან. წაართვეს და გაიქცენ.

**უფა.** ნაშუადღევის 2 საათზე სწრაფი მატარებლით მოვიდა ფინანსთა მინისტრი. ვაგზალზე მინისტრს შეხვდა გუბერნატორი, საფინანსო დაწესებულებათა და ბირჟის წარმომადგენელნი.

**ტამბოვი.** 3 ნოემბერს, ღამით სოფელ კეპიცში, კირსანოვის მაზრაში, ყაჩაღები თავს დაესხნენ მღვდლის ქალიშვილის სახლს. ქალიშვილს ყაჩაღებმა თავი მოსჭრეს, ქმარი (ოფიცერი) დასჭრეს. ყაჩაღების დასაჭერათ პოლიციამ ზომები მიიღო.

**მოსკოვი:** ცნობილმა ქველმოქმედმა ჩერნიშევმა სურვილი გამოსთქვა, მოსკოვის მაზრაში სახელოსნო სასწავლებელს გავხსნი, რომელშიაც ყოველგვარ ხელობას შეასწავლიან მოწაფეებს, იმ პირობით, თუ შკოლის შენახვას ერობა იკისრებსო. შკოლა 200 კაცისათვის იქნება აგებული

# უკანასკნელი ფოსტა

## სპარსეთი.

**მდგომარეობა არდებილში.** 31 ოქტომბერს არდებილში შახსევანებსა და ნაციონალისტებს შორის შეტაკება მოხდა. შახსევანებს მოუკლეს 18 კაცი. ქალაქი ნაციონალისტების ხელში გადავიდა. მოწინავე რაზმი 600 ფიდაისაგან და გილიანის ჯარებიდან შემდგარი არდებილიდან 15 ვერსტის მანძილზეა. არდებილში 500 ნაციონალისტისაგან შემდგარი რაზმი კიდევ გაიგზავნა.

**ხალხისადმი მიმართვა.** სპარსეთის დროებით მეჯლისს სხვადასხვა მივარდნილი პროვინციებიდან ცნობები მოსდის, რომ ადგილობრივი სამღვდელოება უცხოელებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნებას არ აძლევს, რითაც მეჯლისის დეპუტატის არჩევნები ძალიან ბრკოლდებაო. ამის გამო დროებით მეჯლისმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: „პირველი მეჯლისის მიერ შემუშავებული ძირითადი კანონების ძალით ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი პრიციპი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სპარსეთის ქვეშევრდომი, განურჩევლათ სარწმუნოებისა, ითვლება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთ და სრული უფლება აქვს, თუ კი ამისი ღირსი იქნება, არჩეულ იქნას პარლამენტის წევრათ“. ამის გამო სპარსეთის დროებითი მეჯლისი ყველა ნაციის წარმომადგენელთ წინადადებას აძლევს თავიანთი წრიდან აირჩიონ პარლამენტის დეპუტატი. ამ მოწოდებამ უცხოელებში დიდი სიხარული გამოიწვია. თეირანის ქუჩებზე მთელი დღის განმავლობაში გაისმოდა: „გაუმარჯოს სამართლიანობას! გაუმარჯოს მეჯლისს!“

## რუსეთი.

**დუმის გარშემო.** ზამისლოვსკიმ ამას წინათ ხომიაკოვს წერილით აცნობა, რომ სურვილი მაქვს მდივნის უფროსი ამხანაგის ადგილი ისევ დამრჩეს დუმის მესამე სესიაშიო. ზამისლოვსკიმ დეპუტატებსაც განუცხადა: არაფრის გულისათვის ჩემს თანამდებობას სხვას არ დავუთმობო. თუ ზამისლოვსკიმ თავისი ჯიუტობა აასრულა, ხომიაკოვი იძულებული გახდება დუმის ბოქაულებს გააყვანიოს დეპუტატი ზამისლოვსკი.

— „რ. უ.“-ს თანამშრომელს დეპუტატმა გეგეჭკორმა გადასცა, რომ ახლო მომავალში ვილნოდან მივიღებთ დოკუმენტებს, რომლებშიაც აღნიშნული იქნება წელიწადი, დღე და საათი, როდესაც ზამისლოვსკიმ ვილნოს კლუბში რადიკალური სიტყვა წარმოსთქვა პირველი დუმის გარეკის შესახებო.

— მე გიჩვენებთ,—ამბობს გეგეჭკორი,—თუ როგორი მონარქისტია ზამისლოვსკი. მისი უკიდურეს მემარჯვენეთა ფრაქციაში ყოფნა თფილი ადგილებისადმი მიდრეკილებით აიხსნება. გეგეჭკორმა აღუთქვა, რომ დოკუმენტებს მიღებისათანავე გაზეთების საშუალებით გამოვაქვეყნებო.

— ჩელიშევის სიტყვის შემდეგ, რომლითაც ის დუმას წინადადებას აძლევდა ადგილობრივ სასამართლოების პროექტი ისევ კომისიაში გადავსცეთო, მასთან კულუარებში მივიდნენ გლეხთა ჯგუფის თავმჯდომარის ამხანაგი ლუკაშინი და რამდენიმე დეპუტატი და განუცხადეს: „ჩვენოვის სასირცხოა თქვენისთანა თავმჯდომარის ყოლა, ამიტომ ჯგუფიდან გავდივართო“.

— დუმის სპეციალურმა კომისიამ გაიხილა საკითხი ქალების საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ [illegible] და სასოფლო თვითმართველობებში. კომისიამ ერთხმათ დაადგინა [illegible] ქალებს როგორც აქტიური, აგრეთვე პასიური საარჩევნო უფლება.

**მხეცი-ყაჩაღები.** ამას წინათ სოფელ კრუპეცში (გომელის მაზრა) საშინელი უბედურება დატრიალდა. სამი ყაჩაღი თავს დაეცა ადგილობრივ ვაჭარს კოვალევს, რომელიც სასმელებით ვაჭრობს. კოვალევს ყაჩაღები მოკვლას დაემუქრნენ და 208 მანეთი წაართვეს. ყაჩაღებმა რამდენიმე ბოთლი არაყიც გაიტაცეს და კოვალევს უბრძანეს $1\frac{1}{2}$ იატაკზე წოლილიყო და არავისთვის არაფერი შეეტყობინებია. აქედან ყაჩაღები ადგილობრივი მღვდლის სახლისაკენ გაემართნენ. მღვდელს საეკლესიო დღესასწაულის გამო 16 კაცამდე სტუმარი ყავდა მოწვეული, რომელნიც სასადილო და სასტუმრო ოთახებში ისხდენ. საღამოს 8 საათზე, როდესაც სტუმრები მხიარულობდენ, ყაჩაღები სამზარეულოში შეცვივდენ და უბრძანეს კრინტი არ დაეძრა. ერთი აქ დარჩა და სადარაჯოთ მხოლოდ ორი შესავალ კარებისაკენ გაემართა. მათ წინ შემოეგებათ მღვდელი ნიკოლოზ ჩულიცკი და კითხა: „რა გნებავთო“. ყაჩაღებმა მას რევოლვერი დაახალეს და ხუცესი უსულოთ გაიშხლართა ძირს. ყაჩაღები სასტუმრო ოთახის კარებში გაჩერდენ და სტუმრებს დაუშინეს რევოლვერის ტყვიები. მოკლული აღმოჩნდენ: ადგილობრივი სოფლის მასწავლებელი ვლად. ტიშკევიჩი, ხუცესის ცოლი ლარისა ჩერკასოვა და მისი ქალიშვილი მარინა, დაიჭრა ელისაბედ რუდნევი. დანარჩენი სტუმრები შიშით იატაკზე დაემხვენ, ზოგს გული შეუწუხდა. სროლის გამო სინათლე ჩაქრა. ამით ისარგებლა მეორე მასწავლებელმა, რომელიც სტუმრათ იყო, ფანჯრის მინები ჩაამტვრია და ეზოში გადახტა. ამავე დროს სასადილო ოთახიდან გამოვარდა მღვდელი ჩერკასოვი. მას წინ შეეფეთა 6 ყაჩაღი და რევოლვერი დაუმიზნა. მღვდელმა მას მარჯვენა ხელი გაუკავა და ცდილობდა რევოლვერის ტყვია როგორმე აეცილებია. რევოლვერი გავარდა და მღვდელი მარცხენა ხელში დაიჭრა. ამავე დროს ყაჩაღმა მეორე ხელიდან გაისროლა რევოლვერი და მღვდელი მარჯვენა ხელშიაც დასჭრა. მღვდ. ჩერკასოვი კაბინეტისაკენ გაე-

---

# სოციალისტ-უტოპისტები.

—

სოციალიზმმა თავის განვითარების საფეხურზე ორი ფაზისი გაიარა: მარქსამდის და მარქსის შემდეგ.

მარქსამდის ის წარმოადგენდა უტოპიას, ხოლო მარქსს შემდეგ ის გახდა მეცნიერებათ. მარქსმა მეცნიერულათ დაასაბუთა სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობა და აკი ამიტომ ის სამართლიანათ თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის შემქნელათ ითვლება.

უტოპიური სოციალიზმი არ იყო მეცნიერული. უტოპია არ ცნობდა სოციალიზმს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების აუცილებელ შედეგათ. უტოპიური სოციალიზმი—ეს მხოლოდ სურვილი და ოცნება იყო კერძო განათლებული პიროვნებების, საჭირო და საკმარისი იყო მისი მოფიქრება, გამოგონება. და აი ამ გამოგონება-მოფიქრების საოცნებო სივრცეში შენდებოდა მისი შენობა, რომლის გეგმა უტოპისტ-სოციალისტებს წინდაწინ უკვე მზათ ქონდათ. ისინი ფიქრობდენ, რომ საკმარისია დაარწმუნო ხალხი ამ გეგმის სარგებლობაში, იშოვო ფული ამ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლათ და შეუდგე სოციალიზმის „შენობის აგებას“. ისინი ვერ ამჩნევდენ, რომ კაპიტალისტური საზოგადოება ემორჩილება განვითარების განსაკუთრებულ კანონებს, რომ იმავე საზოგადოებაში მარხია ის ძალები, რომლებიც მას აუცილებლათ და არა სურვილით სოციალიზმამდის მიიყვანს.

ისინი უარს ყოფდენ მასსის ყოველგვარ მონაწილეობას საზოგადოების გარდაქმნაში და ზრუნავდენ ყველა კლასების ინტერესების შერიგება-შეხამებაზე. გულგრილათ უყურებდენ ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობას, რადგან ფიქრობდენ, რომ საზოგადოების გარდასაქმნელათ მათი გეგმის თანახმათ სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს პოლიტიკური წეს-წყობილება. ისინი დაწვრილებით ასწერდენ და აცნობდენ საზოგადოებას მომავალი წეს-წყობილების სურათს, რომლის მიზანი იყო დაეჯერებიათ ხალხი თუ რა ბედნიერათ იცხოვრებდა ის „ახალ ქვეყანაში“. და ყველა ეს უნდა მომხდარიყო ისე, ნება-ყოფლობით, ძალ-დაუტანებლათ, სისხლდაუღვრელათ, ზეპირი და მწერლობითი მშვიდობიანი ქადაგებით; ერთი სიტყვით, პოლიტიკური და კლასობრივი ბრძოლის გარეშე.

უტოპისტ-სოციალისტებს არ შეეძლოთ რომ სხვაფრივ ეფიქრათ. ყოველი ადამიანი—შვილია თავის დროის და ეს დრო კი ისეთი იყო, რომ არ იძლეოდა მეტ მასალას სოციალიზმის მეცნიერულათ დასასაბუთებლათ უტოპისტ-სოციალისტები ცხოვრობდენ მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის დასაწყისში. ეს ის დრო იყო, როცა კაპიტალიზმი ახალ ფეხადგმული იყო და მსხვილი წარმოება ჯერ კიდევ შორს იყო აყვავება-განვითარებამდის. განსაკუთრებით ეს ითქმის საფრანგეთზე. მაშინას და ორთქლს ჯერ კიდევ არ მოეხდინა იქ რევოლიუცია სახალხო მეურნეობაში, მაშინას ჯერ კიდევ თავი არ მოეყარა მუშებისათვის; მსხვილ წარმოებას არ ჩაეყლაპა წვრილი წარმოება; ასე რომ, წვრილი მწარმოებელნი არხეინათ განაგრძობდენ არსებობას და მუშაობას მსხვილი მეფაბრიკეების გვერდით.

ეს იყო ეგრეთ წოდებული მანუფაქტურული ხანა.

თავისი საერთო ინტერესები და ამ ინტერესების წინააღმდეგობა ბურჟუაზიის მიმართ, ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. მუშები ვერ ხედავდენ თავის მთავარ მტერს და არც ბრძოლას ეწეოდენ მის წინააღმდეგ. მუშათა ყვლეფას საზღვარი არ ქონდა. ის არავითარი კანონით არ იყო განსაზღვრული. მეტათ მცირე ხელფასი და გრძელი სამუშაო დღე—აი შედეგი ასეთი მდგომარეობისა, რასაც არა ერთხელ გამოუყვანია მოთმინებიდან პროლეტარიატი. მარა მთელი მათი პროტესტი და აღელვება გამოიხატებოდა მაშინების დამტვრევა-დამსხვრევაში და ქარხნების დაწვა-გადაბუგვაში. აქედან ცხადია, რომ უტოპისტ-სოციალისტებს არ შეეძლოთ დაენახათ პროლეტარიატში ისეთი შეკავშირებული ძალა, რომელიც საჭიროა სოციალისტური წყობილების დასამყარებლათ. მუშათა კლასს ისინი უყურებდენ, როგორც დაბეჩავებულს, დამონებულ-შევიწროვებულს, გაწვალებულ მასსას, რომლის მწარე ხვედრის შემსუბუქება გადაღებას არ თოხულობადა. ამიტომ თავიანთი პლანებით მუშებს კი არ მიმართავდენ ისინი, არამედ მდიდრებს და მეფეებს. მათზე ამყარებდენ იმედებს და მათგანვე მოელოდენ დახმარებას. ერთი მათგანი წერილს სწერს ნაპოლეონს და ლიუდოვიკ მეთვრამეტეს. მეორე—თავის სისტემას უხსნის ინგლისის დედოფალს ვიკტორიას, მესამე—მიმართავს ყველა გავლენიან პირებს და მათ შორის—როტშილდსაც. იმდენათ გულუბრყვილოთ სწამდათ მათ, ერთი მხრით თავისი გეგმები, ხოლო მეორე მხრით „ამა ქვეყნის ძლიერთა“ გულ-კეთილობა, რომ საკმარისათ მიაჩნდათ გაეცნოთ ხალხისთვის მომავალი სოციალური წეს-წყობილების სიმშვენიერე, რომ ხელათ გამქრალიყო არსებული წესწყობილება და დამყარებული სამოთხე.

ამიტომ იყო, რომ ფურიე აღტაცებით გაიძახოდა: „ხალხნო! თქვენი ცხოველი სურვილი ხორციელდება... გამოგონილია ისეთი სოციალური კომპასი, რომელიც თქვენ საყოველთაო ბედნიერებამდის მიგიყვანს“.

ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ უტოპისტ-სოციალისტები თავიდანვე ყალბ თვალ-საზრისზე იდგენ და ოცნების სამეფოში დაფრინავდენ.

უტოპიურ-სოციალიზმის ერთი უმთავრესი წარმომადგენელთაგანი იყო რობერტ ოუვენი. ოუვენი დაიბადა 1771 წ. თოთხმეტ მაისს, შოტლანდიის პატარა სოფელ ნიუტოუნში. ის ღარიბი მოხელის მეშვიდე შვილი იყო. სწავლობდა სასოფლო სკოლაში. ის ათი წლის იყო, როცა მაუდის მაღაზიაში ნოქრათ დადგა. ახალგაზრდა ოუვენს თავითვე აშკარათ ემჩნევოდა ყველა ის თვისებები, რომლებმაც ის შემდეგ ცნობილ პირათ გახადა ევროპაში და ამერიკაში. არა ჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია, მახვილი და გამჭრიახი ჭკუა-გონება, ადამიანის ბუნების საუცხოვო გამოცნობა, გამბედაობა და ყველა ამასთან, მეტათ ზრდილობიანი,—აი რა შესანიშნავი თვისებები ამკობდა ოუვენს.

18 წლის ის ხსნის ქალაქდის საქსოვ პატარა საკუთარ ფაბრიკას, ორის მუშინით, მაგრამ ეს პატარა წარმოება მას არ აკმაყოფილებდა და მალე სტოვებს. ცოტა ხნით ამავე ქალაქში, სართავ ფაბრიკაში ზედამხედველათ დგება. ფაბრიკის პატრონი პირობით შეეკრა ოუვენს, სამი წლის შემდეგ მონაწილეთ გაეხადა წარმოებაში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ოუვენი თავს ანებებს ფაბრიკას, იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც მას ფაბრიკის პატრონთან მოუხდა.

1880 წ. ოუვენმა სხვა კომპანიონებთან ერთად შოტლანდიაში, ქალაქ ნივლანარკში ვეებერთელა ფაბრიკა შეიძინა. ოუვენი ამ ფაბრიკის სრულ უფლებიანი გამგე გახდა. ფაბრიკაში ორი—სამი ათასი კაცი მუშაობდენ. ამათში 500 მეტი ბავში. მუშების მდგომარეობა საშინელზე უსაშინელესი იყო. სამუშაო დღე გრძელი, ხელ-ფასი—მცირე, მოპყრობა პირუტყვული. ერთი სიტყვით, ესენი ნამდვილი თეთრი მონები იყვენ. მუშა ბავშვებს შორის, რომლებიც დღეში 12 საათსა და მეტს მუშაობდენ, ერია 7, 6 და თითქმის 5 წლისაც კი. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბავშვები მახინჯდებოდენ, როგორც ფიზიკურათ, ისე გონებრივათ და ზნეობრივათ. ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მუშა ასეთ ფაბრიკას არ ეკარებოდა, ამიტომ ამ ფაბრიკის მუშები სულ შეუგნებელნი იყვენ, ეკუთნოდენ სხვადასხვა რელიგიოზურ სექტებს, გაჟღენთილი იყვენ ათას-გვარი ცრუ მორწმუნოებით და ეს კიდევ უფრო აბნელებდა მათ შეგნება-გათვითცნობიერებას.

არც თვით ქალაქი ნიულანარკი იყო უკეთეს მდგომარეობაში. უვიცობა, სიზარმაცე, სიმხეცე, ლოთობა, ქურდობა და ათას გვარ გარყვნილებას შთაენთქა სავსებით ქალაქი. ყოველ-გვარი დამნაშავენი, მოწანწალენი, ლოთები, პაუპერები—აი რისგან შესდგებოდა ქალაქის მცხოვრებნი. ერთი სიტყვით, ეს იყო „ნამდვილი ჯოჯოხეთი, სადაც იღუპებოდა სულიც და სხეულიც“.

ასეთ სურათს წარმოადგენდა ქალაქი, როცა იქ მივიდა ოუვენი. მან გადასწყვიტა ებრძოლოს ბოროტებას, მარა როგორ? ოუვენი გამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ადამიანი როცა იბადება, არც ბოროტია, არც კეთილი. ბოროტათ თუ კეთილათ ის ხდება აღზრდის და იმ წრის გავლენით, რომელშიდაც ის ტრიალებს. მაშასადამე, თუ გინდათ, რომ ადამიანი კეთილი გახდეს, ის უნდა ჩააყენო შესაფერ პირობებში. „ადამიანში—ამბობს ის—შეგიძლიათ აღზარდოთ როგორიც გინდათ ისეთი თვისება, გრძნობა და ხასიათი“ და აი, რომ გადაახალისოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშები როგორც გონებრივათ, ისე ზნეობრივათ, ის თავ-დავიწყებით იწყებს იმ პირობების შეცვლას, რომელშიდაც იმყოფებოდენ მუშები. მას ბევრი დაბრკო-

ქანა, სადაც დეკანოზი პეტრე ჩულიცკი იჯდა და კარის ჩაკეტა მოასწრო. ყაჩაღმა კარს რევოლვერი დაახალა. ტყვიამ კარები გასჭრა და დეკანოზი ჩულიცკი სასიკვდილოთ დასჭრა. სასადილო ოთახშიდაც სანთელი ჩაქრა. ერთი ბოროტმოქმედთაგანი საწოლ ოთახში შევიდა და ლურჯი სინათლით გაანათა ოთახი. მან შენიშნა მღვდლის ჩულიცკის ცოლი მარიამი, რომელიც კრაოტზე იჯდა და რევოლვერი დაახალა, მაგრამ მარიამს ტყვია ასცდა. ყაჩაღები ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდენ და ისიც ლურჯი სინათლით გაანათეს. ერთმა ქალიშვილმა, რომელიც კუთხეში მიკრუჩხულიყო, სინათლის დანახვაზე თავი მაღლა ასწია. მოისმა რევოლვერის ხმა, მაგრამ შემთხვევით ეს მსხვერპლიც გადარჩა ულმობელ ტყვიას. ფანჯრიდან გადამხტარი მასწავლებელი რუდნევი სოფელში გაიქცა და გლეხებს შეატყობინა, რაშიაც იყო საქმე. გლეხებმა თვითონ რუდნევიც ყაჩაღათ მიიღეს, შეკრეს და ასეთ მდგომარეობაში დასტოვეს ორი საათის განმავლობაში. ამასობაში მღვდ. ჩულიცკის ცოლმა მარიამმა, სიბნელით ისარგებლა, მახლობელ ეკლესიას მიაშურა ძლივ მწოვარი ბავშით ხელში და რაც ძალი და ღონე ქონდა ზარების რეკა დაიწყო. ყაჩაღები სახლიდან გამოცვივდენ და რა შეატყვეს ხალხი თავს იყრიდა და ზოგან თოფების სროლაც მოისმა, მახლობელი სოფლისაკენ გაიქცენ. ღამე ბნელი იყო და თან წვიმდა. ყაჩაღების უკან დადევნება შეუძლებელი შეიქნა.

**ტუსაღების აჯანყება.** ტაშკენტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ქალაქ გარეთ მუშაობის დროს 25 კაცისაგან შემდგარი ტუსაღების ჯგუფი აჯანყდაო. ისინი ნიჩბებით დაერივნენ ზედამხედველებს. უკანასკნელებმა რევოლვერებით გასცეს ტუსაღებს პასუხი. ტუსაღები გაიფანტენ. მალე პოლიციელები და ყაზახები მივიდენ და გაქცეულები დაიჭირეს. დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**გაჩხრეკა და დატუსაღება.** მოსკოვის საიდუმლო პოლიციამ მეათე სკოლნიჩის ქუჩაზე № 5 სახლი გაჩხრიკა. სახლში აღმოჩნდა სოც. დემ. საიდუმლო სტამბა. დაატუსაღეს პეტროვის ქალი. გაჩხრეკის დროს პეტროვის ბინაზე მივიდა ეფრემოვის ქალი. პოლიციამ მის ბინაზედაც ბევრი ს. დ. გამოცემანი აღმოაჩინა. ორივე დატუსაღებულნი ციხეში გაგზავნეს.

**რუსეთ-ფინლიანდიის დამოკიდებულება.** „ბაქოს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ რუს-ფინთა შეთანხმებელი კომისიის მუშაობა არ განახლდება, ვინაიდან მთავრობა დარწმუნდა, რომ ფინები შეთანხმებას არ აპირებენ. სეიმის 200 დეპუტატიდან 151 წინააღმდეგია რუსეთს სამხედრო ბეგრის სახით ფული მიეცეს. სეიმის ძირითადი კანონების კომისიამ განიხილა რა რუსეთის მთავრობის წინადადება სამხედრო საჭიროებისათვის 31 მილიონ მარკის გაღების შესახებ, დაადგინა: უარი ეყოს რუსეთის მთავრობას ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

**არეულობა სემინარიაში.** პსკოვის სასულიერო სემინარიაში არეულობა მოხდა. არეულობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რექტორმა შეამოკლა სალიტერატურო საღამოს პროგრამა, რომელიც მოწაფეების მონაწილეობით იყო შემუშავებული. რექტორმა მოწაფეებს ნება არ დართო მოეწვიათ ასამდე პირი, რომელნიც მათ უკვე სტუმრების სიაში ქონდათ შეტანილი. გამორიცხულთა სიაში იყვნენ სახალხო სასწავლებლის მასწავლებელი ქალებიც. სემინარიის რექტორის მოქმედებამ მოწაფეები აალელვა. მათ კრება გამართეს და რექტორს მოსალაპარაკებლათ დეპუტაცია გაუგზავნეს, რომელიც რექტორმა არ მიიღო. ამან უფრო გაამწვავა საქმე. მოწაფეებმა დალეწეს სასკოლო დგამი. ხმაურობაზე ინსპექტორი მოვიდა. მოწაფეები მას სტვენით შეხვდენ, ზოგიერთმა დგამის ნამტვრევებიც კი ესროლეს. საღამოზე მოწაფეები განმეორებით შეიკრიბენ და დაადგინეს გაფიცვის გამოცხადება.

**ოდესის თვითმართველობაში.** 30 ოქტომბერს ოდესის საბჭომ 41-ხმით 18-ს წინააღმდეგ მიიღო თვითმართველობის წევრის პელიკანის წინადადება, შუამდგომლობა იქნეს აღძრული, რომ ებრაელებს უფლება არ ქონდეთ სახელმწიფო სათათბიროს წევრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. როდესაც ამ წინადადების წინააღმდეგ ხმოსანი ბუხშტაბი ლაპარაკობდა, ხალხში ხმა მოისმა: „ძირს ჟიდი!" როდესაც საკითხის შესახებ კენჭის ყრა გათავდა, ვიღაცამ ბუხშტაბს მიაძახა: „დაწიოკებას (პოგრომს) ელოდეთო." ქალაქის თავმა დამსწრენი გააფრთხილა, თუ კიდევ გამეორდა წესის დარღვევა, იძულებული ვიქნები კრებიდან გავდენოთო.

**დირექტორების თათბირი.** პეტერბურგში მოხდა საშუალო სასწავლებლების დირექტორთა თათბირი. მოწაფეთა ფიზიკური განვითარების სასურველ ნიადაგზე დაყენების შესახებ. საკითხის დაწვრილებით შესამუშავებლათ არჩეულ იქნა კომისია 12 კაცისაგან. კომისიამ სხვა და სხვა სასწავლებლების გამგეობას წინადადებით მიმართა საჭირო მასალა მოგვაწოდეთო.

**პურიშკევიჩი პასუხის გებაში.** 27 ნოემბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლო გაარჩევს პურიშკევიჩის საქმეს. პურიშკევიჩს უჩივის სამთო ინსტიტუტის 8 სტუდენტი, საფონდო კომისიის წევრები, პრესის საშუალებით ცილი დაგვწამაო. სტუდენტების მხრით საქმის დამცველათ გამოვა ნაფ. ვექ. გრუზენბერგი.

**სტუდენტი მუშები.** მიმდინარე წელს მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებლის მექანიკურ განყოფილებაში კონკურსით შევიდა 6 მუშა ზეინკალი. მუშებმა პრეჩისტენის კურსები გაათავეს და სიმწიფის ადესტატზე ეგზამენი დაიჭირეს.

**თავისუფალ მსმენელ ქალთა სიეზდი.** ამ დღეებში დასრულდა რუსეთის უნივერსიტეტების თავისუფალ-მსმენელ ქალთა წარმომადგენლების სიეზდი. სიეზდს უნდა გამოერკვია თავისუფალ მსმენელთა მდგომარეობა. სიეზდზე მონაწილეობას იღებდენ 6 უნივერსიტეტის წარმომადგენელნი. სიეზდმა დაადგინა თხოვნით მიმართოს სახ. დუმას, რომ ახალი საუნივერსიტეტო წესდების განხილვამდე შეტანილ იქნას კერძო კანონ-პროექტი თავისუფალ მსმენლებისათვის სახელმწიფო ეგზამენების დაჭერის უფლების შესახებ. დუმის სახალხო განათლების კომისიას უკვე გადაეცა ამ კითხვის შესახებ მასალა. სიეზდმა გადასწყვიტა ამ გვარივე თხოვნით მიმართოს უნივერსიტეტების პროფესორთა საბჭოებს.

## საზღვარ-გარეთ

**ლორდები და ბიუჯეტი.** ბიუჯეტის ბედი გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს ლორდთა პალატაში. „ტიმსს" მოყვანილი აქვს ფორმულა, რომლითაც ლორდებს სურთ ბიუჯეტის უარყოფა. ისინი აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტის მიერ წამოყენებული საკითხები ისეთი სერიოზული ხასიათისაა, რომ ლორდებს შეუძლებლათ მიაჩნიათ მათი მიღება, სანამ მათ შესახებ ხალხის აზრს არ მოისმენენ. დამახინჯებული რეფერენდუმის შემოღების დაპირებით ლორდებს სურთ საარჩევნო ბრძოლაში თავიდან აიცილონ ბრალდება ანტი-დემოკრატიულ მიდრეკილებაში.

**სუფრაჟისტკების დემონსტრაცია.** გილდგოლში 28 ოქტომბერს ახალი ლორდმერის პატივსაცემლათ ბანკეტი გაიმართა. როდესაც ლორდმერი მეფე ედუარდის სადღეგრძელო სიტყვას ამბობდა, უცბათ ფანჯრის მინები ჩალეწა ქუჩიდან ნასროლმა ქვამ და სუფრაჟისტკის ხმა მოისმა: „მიეცით ქალებს საარჩევნო უფლება!" ქვის მსროლელი სუფრაჟისტკა დაატუსაღეს.

# ახალი ამბები

**ავტომობილებზე გადასახადის დაწესება.** ქალაქის საბჭოს მდივანმა განცხადება შეიტანა საბჭოში ქალაქის სასარგებლოთ ავტომობილებზე გადასახადების დაწესების შესახებ, რაც წლიურათ ქალაქს 2,500 მან. შესძენს. ამ გადასახადებიდან თავისუფლდებიან კონსულები და სახაზინო დაწესებულებანი.

✦ **სესხის განაღდება.** ევროპის სინდიკატ-კაპიტალისტთა რწმუნებულმა მიხაილიდიმ შეღავათიანი პირობები წარუდგინა ქ. ტფილისს 3 მილიონი სესხის გასანაღდებლათ.

✦ **შემოწირულებათა შეკრების ნებართვა.** გენ. ნეიგებაუერმა რკინ. გზის მოსამსახურე ნ. შენგელიას ნება დართო რკინ. გზის მოსამსახურეთა შორის ცეცხლიდან დაზარალებულ სურამელების სასარგებლოთ შემოწირულებათა შეკრების.

✦ **მისიონერი პლატონოვი** საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით დღეს რკინის გზის ეკლესიაში სიტყვას წარმოსთქვამს სექტანტ ვეინინგენის მოძღვრების წინააღმდეგ.

✦ **ავიატორ ჰუიოს ჩამოსვლა.** ახლო მომავალში პეტერბურგიდან თფილისში მოელიან გამოჩენილ ავიატორს ჰუიოს. აქედან ის ბაქოში გაემგზავრება და შემდეგ სტამბოლში წავა, საიდანაც ის ბოსფორზე გადაფრენას აპირებს. („ზაკ.")

✦ **ქალაქის შემოსავალი.** წელს 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე ქალაქის კასაში შესულა სულ 1,201,442 მ. 67 კ.

✦ **ხმები გენ. დუმბაძის შესახებ.** როგორც „რ. ვ." გადმოგვცემს გენერალ დუმბაძეს სამსახურიდან ითხოვენ.

✦ **გზათა სამინისტრომ** განმარტა, რომ რკინის გზებზე უფასო ბილეთები მხოლოდ სახაზინო სასწავლებლების მოსწავლეთ მიეცემა და არა კერძო სასწავლებლებისას, როგორიც სავაჭრო სასწავლებელია და სხვ.

✦ **ტრამვაის დირექტორის საქმე.** დღეს მომრიგებელ სასამართლოს მე-3 განყოფილებაში გაირჩევა საქმე ტრამვაის დირექტორისა, რომელსაც ტრამვაის მოსამსახურეების პირადი შეურაცყოფა ბრალდება.

✦ **სამიწათ-მოქმედო მეურნ.-გამგეობამ** 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში 505,665 მ. შეიტანა ტფილისში და ამიერ-კავკასიაში ბამბის მოსაშენებლათ (ვ. ა.)

✦ **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟის კანტორაში ოქტომბერში ჩაეწერა სულ 581 უმუშევარი. მათ შორის 344 მამაკაცი და 237 ქალი. სამუშაო იშოვა 231 კაცმა, მათ შორის 41 მამაკაცია, 190 ქალი.

✦ **მშობელთა წრის სხდომაზე,** რომელიც 4 ნოემბერს შესდგა 1 სავაჟო გიმნაზიაში, წრის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. ი. მღებროვი, მის თანაშემწეთ გ. თამამშევი.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადო კრება** დანიშნულია კვირას, 8 ნოემბერს.

✦ **ნიგოითიდან გვატყობინებენ:** ეს 18 დღეა, რაც ივლიანე წულაძე სადღაც გადაიმალა და არ სჩანს. ეს ის წულაძეა, რომელმაც წელს მარტში და აპრილში 120 მ. საზოგადოების ფული გაფლანგა მამასახლისათ ყოფნის დროს.

✦ **ერობაზე ლექციის აკრძალვა.** ბაქოს გრადონაჩალნიკმა სამხატვრო-სალიტერატურო წრის წარმომადგენელს ერობაზე ლექციის წაკითხვის ნება არ დართო.

✦ **ტრამვაის დირექტორი** წინადადებას აძლევს კონდუქტორ-ვატმანებს წავიდენ და ხელი მოაწერონ იმ ახალ პირობებს, რომელიც დღეს ნოტარიუსთან იმყოფება შესამოწმებლათ.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** ქალაქის გამგეობამ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 30,000 მან. შეიტანა მიდამო „ვაკეს" ქუჩების მოსაკირწყლავათ.

✦ **სამართალში მიცემა.** გუბერნატორის განკარგულებით სამართალში აძლევენ უბნის ზედამხედველს ხილიპინს.

✦ **გუბერნატორის განკარგულებით** მოისპო საქმე პოლიციელ სარდის ხაჩატუროვისა, რომელსაც სამსახურის დროს მელიქ-ალექსანდროვის მოკვლა ბრალდებოდა.

✦ **მეორე სახელოსნო სასწავლებელი.** ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ოკუნევმა ქალაქის სასკოლო კომისიაში გეგმა წარადგინა მე-2 სახელოსნო სასწავლებლის შენობის ასაგებათ ნ. შიოევის ხარჯზე.

---

ლება ელობება წინ, ძაგრამ ის მაინც არ იტეხს გულს. რამდენათ მეტია და ძლიერი დაბრკოლებები, იმდენათ ის უფრო ენერგიულათ მოქმედებს.

პირველ ყოვლისა მან გარეკა ქალაქიდან ძეწვრიმალნე—მედუქნეები, რომლებიც დიდ ფასებში ყიდდენ მუშებზე ცუდ და დამპალ საქონელს. დააარსა მომხმარებელი საზოგადოებები, სადაც მუშებს შეეძლო ეყიდათ ყოველ-გვარი საჭიროსადი საქონელი ნამდვილ ფასებში, ყველა სასმელის დუქნები და ტრაქტირები გადაატანინა ქალაქ გარეთ. გასწმინდა—გაასუფთავა ქუჩები; უწინდელი ქოხების მაგიერ ააგო კოხტა, კოპწია პატარა სახლები. თავის მუშების შვილებისათვის დააარსა სამაგალითო სკოლები, შეამოკლა სამუშაო დღე, გაადიდა შრომის ხელ-ფასი, შეამოკლა ბავშვების სამუშაო დრო, მოაწყო საზოგადო სამზარეულო-სასადილოები და საცხოვრებელი ბინები, დააწესა მოხუცი მუშებისათვის პენსია, ურთიერთ შორის დამხმარე კასები, საექიმო დახმარება ავადმყოფი მუშებისათვის, ბიბლიოთეკა და სხვ. მოსპო ყოველ გვარი სასჯელი დანაშაულობისათვის და ნაცვლათ მეგობრული დარიგება შემოიღო. ერთი სიტყვით, ნიუ-ლამნარკი გახადა ერთ სამაგალითო ფაბრიკათ მთელ ქვეყანაზე, როგორც თავის სამაგალითო მოწყობილობით, ისე მუშების შეგნებით, განვითარებით და კეთილ-დღეობით. ნიუ-ლანარკის ქებასახელი ჰქქდა მთელ დედამიწის ზურგზე და ყოველ-წლივ იზიდავდა 2,000-მდე მნახველს, რომელთა შორის იყვნენ მეფენიც. მაგ. რუსეთის მეფე ალექსანდრე I და პრუსიის—ფრიდრიხ-ვილჰელმი. მიუხედავათ ყველა ასეთი ხარჯებისა ფაბრიკა მაინც მოსაგებს სტოვებდა. ფაბრიკა იყიდა ოუვენმა 1798 წ. 60,000 გირ. სტერ., ხოლო 14 წლის შემდეგ ფაბრიკა 200,000 გირ. სტერლ. ფასობდა ე. ი. დაახლოვებით 2 მილიონ მანეთამდის. 1866 წ. მთელ ინგლისში ბამბეულების წარმოებას კრიზისი ეწვია, რომელიც გამოიწვია შეერთებული შტატების მიერ ნედლი მასალის გატანის აკრძალვამ. თითქმის ყველა მეფაბრიკეებმა წარმოება შეაჩერეს და მუშები ათასობით ქუჩებში გამოისროლეს, სადაც მათ შიმშილით სიკვდილი მოელოდა.

ამ კრიზისის დროს, ოუვენს არც ერთი მუშაც არ დაუთხოვია და მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ოთხი თვე მუშები სრულიად უსაქმოთ ისხდნენ, მაინც სავსებით ღებულობდენ სამუშაო ხელფასს. ამ კეთილშობილურმა მოქცევამ დაბოლოს დაარწმუნა მუშები ოუვენის გულ-წრფელ მათდამი მეგობრობა-განწყობილებაში. თუ წინეთ მათში ხედავდენ მტერს, დღეს მას მეგობრათ სცნობენ და ნაცვლათ ხელის შეშლისა—ყოველგვარ დახმარებას უწევდენ.

მაგრამ აქ ოვუენს ახალი დაბრკოლება გადაეღობა. სანამ მის მიერ შემოღებული რეფორმები არ ამცირებდა ფაბრიკის მოგებას, მისი კომპანიონები სრულიად არ ერეოდენ საქმის მართვა-გამგეობაში, მარა როცა ოუვენმა მათ სკოლის შენობის ახალი გეგმა წარუდგინა, რომლის აშენება და შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, კომპანიონები მოთმინებიდან გამოვიდენ და განუცხადეს, რომ ფაბრიკა არ არის საქველ-მოქმედო დაწესებულება და 1813 წ. ოუვენი კინაღამ დაითხოვეს ფაბრიკის მართვა-გამგეობიდან.

მოხერხებული ოუვენი შოულობს ახალ კომპანიონებს, ისტუმრებს ძველებს და მით საშვალება ეძლევა განაგრძოს თავისი საყვარელი რეფორმები. ოუვენის შრომას საუცხოვო შედეგი მოყვა და რამდენიმე წლის შემდეგ, წინათ ტალახიან და ბინძურ ნიუ-ლარანკს ვეღარ იცნობდით, რომელიც მთელ ქვეყანას აკვირვებდა და აღტაცებაში მოყავდა.

ყოველივე ამის შემდეგ ოუვენი კიდევ უფრო ღრმათ რწმუნდება, რომ ადამიანი შვილია იმ პირობების, რომელშიდაც ის ცხოვრობს. ეხლა ის იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ზნეობის და ბედნიერების თანასწორობა თხოულობს ცხოვრების მატერიალურ პირობების თანასწორობასაც. ამ გვარათ ის უბრალო ფილანტროპობიდან შეგნებულ კომუნისტათ ხდება. ეხლა მას აღარ აკმაყოფილებს ნიუ-ლარნკანის მოღვაწეობა. აქაური სამოქმედო მოედანი მას ვიწროთ ეჩვენება. ის ისწრაფვის გააფართოვოს თავისი სამოღწეო ასპარეზი. მას უნდა კეთილ-დღეობა მიანიჭოს მთელ მუშათა კლასს. ის ადრე მიხვდა საფაბრიკო კანონმდებლობის მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის და კიდევაც შეუდგა სხვადასხვა კანონ-პროექტების წერას. 1818 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო ქარხნებში ბავშების შრომის მომწესრიგებელი კანონი, რომლის ინიციატორი იყო ოუვენი.

1817 წ. ინგლისს დიდი კრიზისი ეწვია. მუშებს შორის უმუშევრობა და შიმშილობა გამეფდა. ყველა მსხვილ ცენტრებში მუშათა მშიერი მასსა ღელავდა. ამსხვრევდენ და სწვავდენ ფაბრიკა-ქარხნებს. ხდებოდა შეტაკება ჯართან და პოლიციელებთან. დემონსტრაციები, რომლებიც ხშირათ ცემა-ტყეპით და სროლით თავდებოდა, ხშირ მოვლენათ გადაიქცა. შედგა კომიტეტი ინგლისის ცნობილ განათლებულ პირებისაგან, რომელთა მოვალეობა იყო უმუშევრობა-შიმშილთან ბრძოლის საშვალების გამონახვა. ამ კომიტეტის წევრთა შორის მოყვა ოუვენიც. ამ კომიტეტს ოვუენმა წარუდგინა მოხსენება, სადაც ის თხოულობდა მთელი თანამედროვე წეს-წყობილების გარდაქმნას ახალ საფუძველზე. ნაცვლათ იმ გამარჯვებისა, ამბობს ოვუენი რომელსაც ეწევა სახელმწიფო სრულიად უნაყოფოთ მათხოვრების შესანახავათ, რომლებიც არავითარ სასარგებლო შრომას არ ეწევა, არ ქმნის არაფერს, ეცემა-ირყვნება მორალურათ,—სახელმწიფო უნდა შეუდგეს ამ პაუპერების შრომის სისტემატიურ ორგანიზაციას. ამ მიზნისათვის სახელმწიფომ უნდა დააარსოს თემები ერთ და იმავე დროს, როგორც სოფელში, ისე ქალაქებში. თვითეული თემის მცხოვრები არ უნდა აღემატებოდეს 500—1500 სულს. ყველა მცხოვრები ერთ შენობაში უნდა იდგეს და საერთო საკუთარი ძალ-ღონით ამუშავებდენ სათემო მიწას ზომით 300—400 დესეტინამდე თვითეულ თემზე. სამეურნეო მუშაობა უნდა წარმოებდეს თემის საერთო ხარჯზე ღ დამუშავებული საქონელიც სავსებით თემის განკარგულებაში შედიოდეს. თვითოეულ ოჯახს აქვს თავის საკუთარი ბინა საზოგადო სახლში, ხოლო ბავშები, სამი წლიდან დაწყებული იზრდებიან ერთად. სადილი უნდა კეთდებოდეს საზოგადო ქუხნაში. თემი კისრულობს თვითეული თავისი წევრის შენახვას და სამაგიეროთ თხოულობს მისგან მისი ძალ-ღონის და ნიჭის შესაფერ შრომას.

ამ რიგათ, ცოტ-ცოტაობით, სრულიად ძალდაუტანებლათ, დაქირავებული შრომა მოისპობა და კოოპერატიული თემები შეიქნება ერთად ერთი ფორმა სამეურნეო წარმოების. ამ გვარი შრომის ორგანიზაცია მოსპობს არსებულ კონკურენციას, რომელიც იწვევს ყველას ბრძოლას ყველას და თვითეულის წინააღმდეგ. თავისუფალი კაპიტალი და უმუშევრები საქმეს გაიჩენენ, კერძო მეურნეობა მოისპობა და დაქირავებულ შრომას ადგილი აღარ ექნება.

ამ გვარი ხელოვნური გზით სურს ოუვენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოციალიზმის დამყარება. მან მოიგონა პლანი და აწვდის ხალხს მიიღოს ის. მას სურს გარეშე პირობები შესცვალოს ისე, რომ იგუებდეს და შეეფერებოდეს ადამიანის ბუნებას, და ეს მაშინ, როცა ადამიანის ბუნება თვითონ სწორეთ ამ გარეშე პირობების გავლენით იცვლება.

ოუვენის პლანი, რასაკვირველია, უარყო კომიტეტმა, როგორც მეტათ რადიკალური, მარა ეს არ აღონებს მას. ის მიდის თავისი პლანით ერენში „მეფეთა კონგრესზე" და ცდილობს მიაღებინოს მათ მისი პლანი, ძაგრამ აქაც უარს ეუბნებიან, რასაკვირველია. ოუვენი გაცხარებულ აგიტაციას ეწევა თავისი სისტემის სასარგებლოთ. მართავს მიტინგებს, სწერს სტატიებს, პროექტებს, მოხსენებას, პამფლეტებს, ეწევა კამათს, ღებულობს თავის მეგობრების საშვალებით მონაწილეობას პარლამენტში აწესებს ათას გვარ საზოგადოებას თავის იდეის გასავრცელებლათ, პრაქტიკულათ ცხოვრებაში გასატარებლათ და სხვ.

მაგრამ გაბატონებული კლასის დამოკიდებულება ოუვენთან მისი სოციალისტური პლანების გამო ცოტ-ცოტაობით თანდათან იცვლება. მისი ავტორიტეტი ეცემა. მასში ხედავენ საშიშ და მავნე „უგუნურ მეოცნებეს". უწინდელი ქებადიდების მაგიერ მას ყოველ დღე ლანძღავენ და ათასგვარ ცილსა სწამებენ. მას ყოველი მხრით დაეხვია სამღვდელოება და მეფაბრიკენი, ის კარგავს ძველ მეგობრებს. ბევრი სასტიკ და შეურიგებელ მტრათ გადაექცა და შიერდება მას.

მაგრამ მარტოობა არ აგდებს ოუვენს სასოწარკვეთილებაში. თუ მას მდიდრები განშორდენ, სამაგიეროთ მუშების მთელი სიმპატია ოუვენის მხარეზეა. და რამდენათ უფრო შორდება ოუვენი მდიდრებს, იმდენათ უფრო უახლოვდება და უკავშირდება მუშებს.

მტრობა ოუვენის წინააღმდეგ ისე გაიზარდა ინგლისში რომ, როცა მან თავის პლანის ცხოვრებაში გატარებ მოინდომამას ყოველიმხრიდან წინააღუდგენ და ყოველ გვარი შეზღუდვა-დაბრკოლება აღმოუჩნდა. მაშინ გადასწყვიტა წასულიყო ამერიკაში.

აქ ოუვენი ლექციების საშვალებით აცნობს საზოგადოებას თავის სისტემას თემის დაარსების შესახებ. მის ლექციებს ყურს უგდებს მრავალი ინტელიგენტი მსმენელები. სხვათა შორის ყოფილი პრეზიდენტი, ახლათ არჩეული პრეზიდენტი, უმაღლესი სასამართლოს ყველა წევრები, მრავალი დეპუტატები და სენატორები. **ოფიშტელი.**

(შემდეგი იქნება)

**ოსური წარმოდგენა.** შაბათს, 7 ნოემბერს ოსურ სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო სახლში ოსურ გამომცემელი საზოგადოების „სინათლის“ სასარგებლოთ წარმოდგენილ იქნება 1. გრ. თომაევის 4 მოქ. დრამა „ქურდს რა მოელის“ და კომედია: „ჰკუისა ჰჭირს“. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთების ფასი 5 კ.—50 კოპ.

**შეპყრობა.** 4 ნოემბერს შეიპყრეს ადმინისტრატიული წესით გადასახლებული, დუშეთის მაზრის მცხოვრებ. ს. გარაკანიძე, რომელიც სექტემბერში დააკავეს, მაგრამ გაიქცა და აქამდე სხვისი პასპორტით იმალებოდა.

**მძარცველები.** 3 ნოემბერს მე-9 საპოლიციო უბანში შეიპყრეს 4 მძარცველი, ნ. შ. მეცვარიშვილი, ა. შ. მოცხარიშვილი ბ. გ. ჯავახიშვილი და ზ. ი. გალაშვილი. რომელთაც 1 ნოემბერს კ. გაბუნიას ცოლის გაძარცვა ბრალდებათ.

**ბავშვების დაკარგვა.** 3 ნოემბერს მე-11 უბანში ხვედელიანის № 137 სახლში მცხოვრებმა ი. პ. ყამირიძემ პოლიციას განუცხადა, რომ 2 ნოემბერს მისი ვაჟები— იოსებ 14 წ და დავითი 12 წლის, ნახალოვკის პირველ-დაწყებითი სამოქალაქო სკოლის მოსწავლეები, ნაშუადღევს, ნასადილევს სადღაც წავიდნენ და მას შემდეგ სახლში არ დაბრუნებულან. შავი ბლუზები აცვიათ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა დაკარგული ბავშვების მოსაძებნათ.

**მკვლელობა.** ს. ახალ-ქალაქის მცხოვრებმა სამამდ ომარ-ოღლიმ ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა თავისი მკვიდრი ძმა ოსმანი. (ტ. ლ.).

**ბესარიონ მუსელიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ:** 19 გასულ ოქტომბერს, თფილისიდან ქუთაისს გავგზავნე, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მოწაფე გიორგი მალაქიასძე მუსელიანი—12 წლისა და ჯერ თავისს ალაგას არ მისულა. ბავშვს თეთრი ბლუზა აცვია, ფორმის ქუდი ხურავს. თუ ვინმე იპოვის, იმედია, „მომავლის“ რედაქციას, ან ქუთაისის რეალურ სასწავლებლის აცნობებს.

**23 ოქტომბერს წერა-კითხვის გამავრც. საზ.** სასარგებლოთ გადაიხადეს ნავაჭრის წილი: დიმიტრი ლოლაძემ 4 მან.; ზაქარია მიქაძემ 1 მ.; ვლადიმერ მაჭავარიანმა 3 მ.; სილვესტრ კვაჭაძემ 10 მ. 10 კ.; ლევ. ადამიამ 1 მ. 50 კ.; კაფე ლონდონმა 1 მ.; გიორგი კობახიძემ 2 მ.; კავკასიის პარიკმახერთა 1-ლ ამხ. 3 მ. 20 კ.; შიგანიანცმა 3 მ.; „ძმობამ“ 10 მ.: ბელ. კუხიანიძემ 3 მ.; მ. Маие-მ 5 მ.; „ნოვაია რეჩმა“ 1 მ. 30 კ.

## ნუ თუ მართალია?

მცირე შენიშვნა.

როგორც ვიცით, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ერთი დღე დათმობილი ჰქონდა ქართულ დრამ. საზოგადოებას იაფფასიანი წარმოდგენების გასამართავათ. დრამატიულმა საზოგადოებამ ეს ერთი დღე სახალხო უნივერსიტეტს გადასცა. სახ. უნ. არსებული ქართული სექცია სცენის მოყვარეების საშვალებით ამ დღეებში წარმოდგენას მართავს და საქმეც მშვენივრათ მიდის. მაგრამ ეხლა, როგორც ჩვენი გაზეთის და „დროების“ გუშინდელი ქრონიკიდან გაიგებდა მკითხველი, დრ. საზოგადოებას მიუწერია სახალხო სახლის გამგე კომისიისათვის—დათმობილი ერთი დღით ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ წარმოდგენების გასამართავათ და ნურავის მისცემთო. 3 ნოემბერს ქალაქის გამგეობის და სახ. სახლის გამგე კომისიის სხდომას დაუდგენია: აღნიშნული დღე დრამატიულ საზოგადოებას გარდა არავის დაეთმოს

ამ რიგათ, დრამატიული საზოგადოება ართმევს ქართულ სექციას იმ ერთ დღესაც კი, რომელიც მის განკარგულებაშია და მით სახალხო თეატრის არსებობის მოსპობას ლამობს. ჩვენ არ გვეგონა, თუ ქალაქის გამგეობა დრ. საზოგადოების ასეთ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. მართალია, სახალხო სახლი ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაშია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რასაკვირველია, რომ ქალაქის თვითმართველობას როგორც სურს ისე განაგოს სახალხო სახლი და ამავე დროს ანგარიში არ გაუწიოს სახ. უნივერ. ქართულ სექციას და მის გარშემო შემოკრებილ ქალაქის მცხოვრებთ. ქალაქის თვითმართველობის ასეთ დადგენილებას, თუ ის ცხოვრებაში გატარებულ იქნა, შეიძლება არა სასურველი შედეგი მოყვეს რაშიაც პასუხის მგებელი პირველ-ყოვლისა თვით ქალაქის თვითმართველობა იქნება.

ჩვენ არც ის გვჯეროდა თუ დრამატიული საზოგადოება ასეთ „სარისკო“ ნაბიჯს გადადგამდა—სახალხო სახლში თვით მოისურვებდა წარმოდგენების მართვას და მით ქართულ სექციას ხელს შეუშლიდა და წარმოდგენების მართვის საშვალების მოსპობას შეეცდებოდა. დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა,—ეს იმ საზოგადოების წინააღმდეგ გალაშქრება იქნება, რომელიც თავს იყრის სახალხო თეატრის გარშემო და ეს არც ისე ადვილია როგორც შეიძლება მათ გონიათ. სახალხო თეატრს თავისი აუდიტორია ყავს, თავისი სცენის მოყვარეთა დასი, წარმოდგენებიც იმართება, საქმე გაჩარხულია და ასეთ მოწყობილ საქმეზე კი ასე ადვილათ როდი იღებენ ხელს. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას თავის განკარგულებაში აქვს ქართული თეატრის ყველა დღეები და უმჯობესია იქ მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და ყოველი საშუალება იხმარონ სიკვდილის პირათ მყოფი თეატრი გამოაბრუნონ. თუ საქმე აინტერესებთ—სამუშაო იქაც ბევრი აქვთ. სახალხო თეატრის საქმე მათ გარეშეც კარგათ მიდის და თუ დახმარებას არა, ხელის შეშლას რაღას ერჩიან. მაინცა და მაინც საჭიროა იცოდეს დრამ. საზოგადოებამ, რომ სახალხო სახლის ის დღეები, რომელიც ქართული სექციის განკარგულებაშია, მასვე უნდა დარჩეს.

მეგობარი.

# პროვინცია

**ს. შუქრუთი.** (ჭიათურის რაიონი). როგორც საზოგადოთ ზემო იმერეთში, წელს აქაური მოსავალი მესამედი თუ იქნება მეტი არა. ვენახი და ხეხილი გაზაფხულზევე დაილუპა და სიმინდი ხანგრძლივმა გვალვებმა ზაფხულში ამოახმო. ღვინო რაც მოვიდა არც ის ვარგა—ეხლავე ძმარდება. გვალვების გამო დაშრა აგრეთვე წყლები და სოფლელები ამ მხრივაც შევიწროვებული არიან. ნაალდგომევს ერთი ისეთი წვიმა არ მოსულა, რომ მიწა გაეძღო. სხვა ბედნიერებასთან ერთად ამ სოფელში სახადიც მძვინვარებს. ბევრ ოჯახს აუტირა გული ულმობელმა სენმა, ბევრს დაუკარგა მარჩენალი და ჯალაბის იმედი. მართალია, ჭიათურა ახლო აკრავს ამ სოფელს და შედარებით ადვილებათ ექიმ-ფერშლის ამოყვანა, მარა ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლების სიბნელე—ჯერ, როცა ავადმყოფი ახალი დაწოლილია სოფლის ექიმბაშებში მირბიან და ბოლოს ბევრი საშვალებაც რომ ჰქონდეს სულთმობრძავს თუ მოუყვანს ექიმს. რა გასაკვირია, რომ ასეთ შემთხვევაში რაციონალურმა წამლობამ მიზანა ვერ მიაღწიოს.

მოუსავლობის და სიღარიბის ნიადაგზე ქურდ-ბაცაცებმაც იჩინეს თავი და ისე კვირა არ გაივლის, რომ არ გაიგონოთ: აქ ეს გაქურდეს, იქ იმას ბეღლიდან სიმინდი ამოუღეს. ადმინისტრაცია ამას შემოსულ პირებს აბრალებს. (იქ ბევრი ქვაში მომუშავე ცხოვრობს). ავიწყდება კი, რომ ქურდი ვერას გახდება სხვა სოფელში, თუ მასპინძელი არა ყავს.

აქაური სასოფლო გზები აქნობამდი არაფრად არ ვარგოდა, წელს კი მთავრობა ძალიან აკეთებინებს ხალხს. სოფლელებს ვერ შეუგნიათ, თუ რა აუცილებელი საჭიროა კარგი გზები და მიუყოლლობის გამო ერთი აყალ-მაყალი ტრიალებს.

მა—ლი.

**ს. ზომლეთი** (გურია). იყო დრო, როდესაც ჩვენი სოფელიც გატაცებული იყო სწავლა-განათლების საქმით. ამ დაუვიწყარ დროს აქ ჩვენს სოფელსა და მეზობელ სოფელ ვანს შორის დაიბადა აზრი კერძოთ ამ ორი სოფლისთვის ორ-კლასიანი ნორმალური სკოლის დაარსების შესახებ, რასაც მას შინ სიხარულით მიეგება. მართალია აქ, აკეთი საზოგადოებაში არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, მაგრამ მცხოვრებთა სიმრავლის გამო ეს სახევრათაც ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას ამ მხრივ. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სიძნელეს, რომელსაც იწვევს თვით გეოგრაფიული მდებარეობა, ცხადია, მეტი დაბრკოლებები მხარეები ჰქონდა აქ ასეთი ტიპის სკოლის დაარსებას. მიუხედავათ ყველა ამისა, ეს განზრახვა დღემდე სისრულეში ვერ მოვიდა. ს. ვანმა რადგან მოსაზრებებით ირჩია დაარსებინა კერძოთ პირველდაწყებითი სკოლა, რის განხორციელებასაც ხელი შეუწყო სხვათა შორის იმ გარემოებამ, რომ მათ შენობა უკვე დაწყებული ჰქონდათ. დანარჩენ ოთხ სოფლებშიც უკვე დაარსეს პირველდაწყებითი სკოლები. თავის თავათ ცხადია მათ ასეთ სიღარიბეს და ენერგიულათ მოქმედებას უკარნახებდა უმთავრესათ ის, რომ საზ. სკოლა ვერ იტევდა მათ შვილებს და დაგარწმუნებთ, რომ ამ მხრივ ჩვენც არ ვართ უზრუნველყოფილი, პირიქით, ეს სოფელი როგორც უფრო მოწყვეტილი საზ. სკოლაზე, უფრო გულმოდგინეთ უნდა მოკიდებოდა ამ საქმეს. ყველა ამ მოსაზრებებით აღჭურვილი, ამ სოფლის მოწინავე ნაწილი, დიდის ენერგიით შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. აირჩიეს ვექილები, შეუდგნენ შენობაზე ზრუნვას და სხვა, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვეულებრივმა სენმა აქაც იჩინა თავი: პირადი ინტერესებით აღჭურვილი პირნი ჩაერიენ საქმეში და ამით ხელი შეუშალეს ამ საქმის განხორციელებას. საქმე უფრო გამწვავდა მაშინ, როდესაც ჯერი მიდგა სკოლისთვის ადგილის არჩევაზე.

ეს სოფელი განიყოფება სამ უბნათ. თვითოეულ უბანში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებმაც აღძრეს ხალხი და ყველა თავისკენ ეწეოდნენ სკოლას. სამართლიანობა მოითხოვდა სკოლა დაარსებულიყო სოფლის შუა ადგილზე, მაგრამ რადგან ამ ადგილზე შრომის დახარჯვა დარჩა საჭირო, (ადგილის ამოშრობა, მოკვეთა და სხ.) ამიტომ უფრო შეფერებული ადგილი სკოლისთვის იყო ამავე ცენტრის მახლობლათ (სულ ერთ ქვევაში) გ. მ—ძის ნასახლევი, გაბრიელ ქურიძის ეზო. აღნიშნული ადგილი თითქმის ცენტრათ ჩაითვლება, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი პირების წყალობით შეთანხმება არ მოხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მოწინააღმდეგეთა შორის გარევნენ ისეთებიც, რომლებიც სწავლა-განათლების საქმეში ავტორიტეტათ ითვლება და ხალხში დიდის პატივისცემით სარგებლობდა, აქ კი ასეთი მიდრეკილება გამოიჩინეს. ასე რომ, ეს საქმე დღემდე ვერ არის განხორციელებული, თუმცა მასწავლებელი ყავთ დაქირავებული დროებით და ნაქირავებ სახლში ასწავლის, მაგრამ მაინც სასურველ ნიადაგზე არ არის საქმე დაყენებული.

თ.—ე ხუხუნაიშვილი.

**სოფ. საპაიჭავო** (ქუთ. მაზრა). სექტემბრის პირველ რიცხვებში აქ ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა. მახლობელ საქონლის საბადახო მთაზე ერთმა გურულმა, გვარათ ორაგველიძემ (მეჯოგეა) ნაჯახით თავი წასჭრა 17—18 წლის ყმაწვილს სევერიანე ყარამანის ძე ბოლქვაძეს. მკვლელობის მიზეზებს ბევრს ასახელებენ. მკვლელობის მაყურებელი ერთი პატარა ბავშვია, მაგრამ მის სიტყვებიდან ვერაფერ გარკვეულ აზრს ვერ გამოიტანს კაცი, რადგანაც ის ძალზე შეშინებულია. მკვლელი მაშინვე გადაიკარგა. ადმინისტრაცია თუმცა დაეძებს, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვნიათ.

— ენკენისთვეში აქ უნდა გახსნილიყო ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს არ მოხდა, მიუხედავათ იმისა, რომ ხალხმა 600 მ. შენობისთვის უკვე გადაიხადა, ან კი როგორ მოხერხდებოდა სკოლის გახსნა, როდესაც სოფლის მასასახლისი სკოლის ფულებით სხვა სახელმწიფო და სასოფლო გადასახადებს ასწორებს და სკოლისთვის კი უურსაც არ იბერტყავს. იყო დრო, როდესაც ეს ვაჟბატონი მოწინავეთა რიცხვში ითვლებოდა და ეხლა კი ხალხის პროგრესიულ მისწრაფებას წინ ეღობება და ხელს უშლის. ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია მოვაგონო სკოლის გამგეს, რომ თუ ოდესმე სკოლა გაიხსნას დირსეული და შესაფერი ცოდნის მასწავლებელი მოითხოვოს საბჭოთ სკოლიდან, სწორეთ ისეთი, რომელსაც კარგათ შეგნებული ჰქონდეს თავისი მძიმე მოვალეობა.

ორიონი.

# მუშათა შორის

**ქუთაისის ნოქართა ცხოვრებიდან.** ქუთაისში ყველაზე უფრო შეკავშირებული და ძლიერი ნოქართა პროფესი. კავშირი იყო, მაგრამ მის არსებობას ვერ შეურიგდნენ ჩვენი ადები. „ნოქრის დაყენება და დათხოვნა ჩემი საქმე უნდა იყოს! თორემ თუ იმათ მიეცით ნება მიზეზებს უჩხადებით და ქურდებით აგვავსებენო“ გაიძახოდნენ ადები, და სასტიკათ ებრძოდნენ კავშირს. არ ვიცით ვისგან დანისები დანისებზე მიდიოდა მთავრობასთან. მთავრობამაც ოფიციალურათ არ დაამტკიცა ნოქრების პროფ. კავშირი. თუ რამდენათ მართლი იყვნენ ხაზეინები ეს შემდეგმა მაგალითებმა დაგვანახვა: რამდენათაც ვიცი, მგონი 1906-ში იყო თუ 1907-ში ბ. ეზიკოვს მიმართეს ნოქრებმა, როცა ის ერთ თავის ნოქარს ითხოვდა, და უთხრეს: მაგას ნუ ითხოვ არამედ დაითხოვე ისინი, რომლებიც მართლაც დასათხოვნი არიან, როგორც „ხელ-წამკრავნი“-ო და კიდევაც დაუსახელეს რამდენიმე ნოქარი. ბ. ეზიკოვმა მათ ყურიც არ ათხოვა და დაითხოვა ის ვინც მას სურდა „ხელ-წამკრავნი“ დაიტოვა. დღეს კი ბ. ეზიკოვმა მისი „ერთგული“ ნოქრები თვითონ დაითხოვა. ასევე მიმართეს ბ. მიტროფანე ლადიძეს მუშებმა და მოითხოვეს ერთი მუშის დათხოვა, როგორც წარმოებისთვის არა სასურველი და მუშების სახელის გამტეხის. ბ. ლადიძემ ამის გაგონებაზე შემდეგი უპასუხა: „თქვენ გინდათ უყველი პატიოსანი მუშა ხაზეინს გამოაცალოთ, თქვენ დუქავთ ჩემს ქარხანასო“. გაიარა რამდენიმე დრომ და „პატიოსანი“ მუშა თვითონ დაითხოვა ბატ. ლადიძემ, როდესაც საგრძნობლათ ზარალი მიაყენა ამ „პატიოსანმა“ მის ქარხანას; ასე მოიქცა ბატ. ჭავჭანიძე და კასუმოვიც, როდესაც წარუდგინა მათ ნოქართა პროფ. კავშირმა კაცი სამუშაოთ, ბ. ჭავჭავაძე—კასუმოვმა პასუხის რიგიანათ გაცემაც არ ისურვეს: „ჩვენ თვითონ ვიშოვით კაცს, თქვენი კაცი არ გვესაჭიროებაო“, მართლაც თვითონ იშოვეს და დაიჭირეს ნოქარი პიპინოვი, რომელმაც ერთ მშვენიერს დღეს: „პატიოსნათ“ შეჰკრა ერთი ცალი საქონელი და გაუდგა გზას, დღესაც არ იციან ბ.ბ. ჭავჭავაძე—კასუმოვმა სად იმყოფება მათი „ერთგული და პატიოსანი ნოქარი“ პიპინოვი. ამისთანა მაგალითები მრავალი იყო.

1908 წელს ფარნა გაბუნიას ნოქრებმა შეამჩნიეს ერთ თავიანთ ამხანაგს „ხელ-წამკრაობა“, როდესაც ნამდვილათ დარწმუნდნენ ნოქრის ბოროტ-მოქმედებაში, მისცეს წინადადება ბ. ფ. გაბუნიას დაეთხოვა ის, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა, ის ფიქრობდა ნოქარი როგორთაც ერთგული და დამცველი ჩემი ინტერესების, დანარჩენ ნოქრებს უნდათ ძალით და ამისთანა ცილის წამებით დამათხოვნონო. ამ წლის პირველ თვეებში ბ. ფარნამ თვითონ თავის თვალით ნახა და დარწმუნდა ხსენებული ნოქრის „კაი კაცობაში“, და ინება მისი დათხოვნა; დათხოვნილმა ნოქარმა მოსთხოვა ნოქრებს დამტკიცება ბრალდების. ისინიც თანახმა იყვნენ დაემტკიცებიათ ყველაფერი მისთვის მხოლოდ სამედიატორო სასამართლოში, ამ უკანასკნელზე კი ხსენებული ნოქარი არ თანხმდებოდა პირველად, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დათანხმდა სამედიატორო სასამართლოზე. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა: მას „პატიოსანი“ ნოქრის მოწმობა, მისცა!! მერე რატომ? ნუ თუ ნოქრები სტყუოდნენ და ფარნა გაბუნიამაც უდანაშაულოთ დაითხოვა ის? არა! საქმე იმაშია, რომ სასამართლოს არ გადასცეს ფარნა გაბუნიას სიტყვები ისე, როგორც ამას თვითონ ამბობდა და ბ. გაბუნიას. ჩვენებას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასე გამართლება კი გამტეუნებას უდრის.

Amicus.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ მოკლე წერილს.

მივიღებთ რა საჭიროთ ბოლო მიეცეს ჩვენსა და ბათუმის ქალაქის თვითმართველობის ზოგიერთ წარმომადგენლებთა შორის დაწყებულ ბრძოლას და იმ პოლემიკას, რომელიც გამოიწვია ამ „ბრძოლამ“, სიმართლის გამოსარკვევათ ჩვენ საჭიროთ ვცნობთ გადაეცეს საქმე განსახილველათ არჩეულ სამსჯავროს. წინადადებას ვაძლევთ დაინტერესებულ პირებს ბათუმის ქალაქის თვითმართველობისას დანიშნონ თავის მხრით ორი წევრი სამსჯავროსი; თუ თანხმობა იქნება, ჩვენ დავასახელებთ ორ პირს. ეს ოთხი პირნი აირჩევენ თავმჯდომარეს და გაარჩევენ საკითხს: „რამდენათ საფუძვლიანი იყო ჩვენი გალაშქრება ბათ. ქალ. თვითმართველობის ზოგიერთ წარმომადგენლების წინააღმდეგ და რამდენათ ვუღალატეთ ჩვენ პრინციპს და ტრადიციებს“?

დადგენილება უნდა იქნეს გამოცხადებული გაზეთებში.

გაზ. „ბატ. იზვესტ.“ რედაქცია.

უკანასკნელი პასუხი ექიმ იპ. ბუხბინდერს.

ექიმმა ბუხბინდერმა ჩემ მოთხოვნას, გაესაზღვრა ბრალდება, შემოუარა და მაინც დაჟინებით მოითხოვს სამართალში გვყვე. ექიმი ამბობს: „ზედმეტათ მიმაჩნია ციტატების მოყვანა, აი იქ, მაოთახის № 15-ში“ და სხვა. საზოგადოთ სათხუნჯო შენიშვნები და სხვა ნაირად გაიგება და ამიტომ იყო ექიმს მოვთხოვე ბრალდების განსაზღვრა. მან შემოუარა ჩემ მოთხოვნას იმიტომ, რომ მკითხველმა იფიქროს, გოლდემარს ქვეყანა დაუნგრევია, მოულოდნელად რომ, —ამიტომ-ასე ჩხუბით როგორ მოსთხოვდა ექიმი სამედიატორო სამართალსო და ამით სურს ექიმს გაფონოს, მაგრამ ჩვენ ვიცით ეს მისი ტკივანი ადგილი და ამიტომ იყო გამბობდი, რომ გოლდემარ მისი შენიშვნისთვის... იქნებ ვერც კი აგებინოთ პასუხი თქვა. საქმე იმაშია, რომ ექიმ ბუხბინდერზე და ან ჩხეიძეზე ფოთის საზოგადოებაში ტრიალებდა და დღესაც (პოლიციის ომების შემდეგ უფრო ძლიერ) ტრიალებს ერთნაირი აზრი. მე, როგორც მეთვალყურემ, ეს მითქმა-მოთქმა აღვნიშნე ჩემ სათხუნჯო შენიშვნაში, მაგრამ ექიმ ბუხბინდერის საუბედუროთ საჭირო სიფრთხილე გამოვიჩინე და გადაჭრით, კატეგორიულ ფორმაში არ მითქვამს ის, რასაც პირში და პირს უკან ბევრები ეუბნებიან (გადაჭრით) ექიმს. მე ვამბობდი: „როგორც ბოროტი ენები ამბობენ, როგორც იგივე ბოროტი ენები იმეორებენ, როგორც ბოროტი ენები განაგრძობენ“ თქვა იხილე მაოთახ-სალამური“ № 15, ფოთის ნეგატივები). ასე რომ, მე აღვნიშნე ის, რასაც ყველა იმეორებს ფოთში და სამი პოლიც. ომიც არის შედგენილი. მეც, ვიმეორებ, აღვნიშნე, როგორც გადმოცემა სხვისი. ასე რომ, მე კიდევ ვერ გავიგე თუ რისთვის, რა ბრალდებებს მიყენებს ექიმი ბუხბინდერი და სანამ ეს არ უქნია, მანამდის ზედმეტათ მიმაჩნია სასამართლოში გაყოლა, რადგან ეს იქნება ან მადის აყოლა, ან „კაპრიზის“ დაკმაყოფილება. არც ერთის და არც მეორეს დაკმაყოფილება არ მსურს. თუ გამაგებინებთ რაში მდებთ ბრალს თანახმა ვარ სამართალში გასვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში არა, რადგან არ ვიცი, თუ რისთვის უნდა გამოვყვე სამართალში.

ვოლდემარ.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთის მე 28 ნომერში მოთავსებული იყო წერილი მკერვალების შესახებ, სადაც გ. ჩხარელი შტრეიკბეხერის სახელით ნათლავდა, რ. ჩუბ—შვილს. რ. ჩ. სამედიატორო სამართალში გამოიწვია. სასამართლო შედგა და შემდეგი განაჩენი გამოიტანა:

1) ვიღებთ რა მხედველობაში გ. ჩხარელი დაეყრდნო ერთი კაცის ჩვენებას და პრესის საშუალებით ჩირქი მოსცხო დაუმსახურებლათ რ. ჩუბ—შვილს ამისათვის ბოდიში მოიხადოს სამედიატორო სასამართლოს წინაშე.

2) ის პირი რომელმაც კერძო ინტერესებით ჩირქი მოსცხო ჩუბ—შვილს და შეცდომაში შეიყვანა ავტორი, სამედიატორო სასამართლო ზიზღს უცხადებს ასეთი საქციელისათვის. ეს პირია ვასო ზალიევი.

3) სამედიატორო სასამართლო მცირე შენიშვნას აძლევს რ. ჩუბ—შვილს, ხაზეინის გაზეთის ჩვენებისათვის. რაცა გამოუწვევია საშინელი ცილის წამებით აღელვებას.

მედიატორენი გ. მ. გ. შ. ვ. ჩ. ა. მ.

რედაქტორ გამომცემელი
ნ. მელიქ-მახნაზარიანცი


# განცხადება

## ბავშვის დაკარგვა

ამა წლის სექტემბრის 19 რიცხვებში ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მოწაფე გიორგი მალაქიას ძე მუსელიანი 12 წლისა გავგზავნე თფილისიდან ქ. ქუთაისში, თანახმათ მისი ძმის დეპეშისა. ბავშვი ჯერაც არ მისულა თავის ალაგას, და არც რომელიმე თავის მოყვარე ნაცნობთან. უმორჩილესათ ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, თუ ვინმემ რაიმე იცის ხსენებულ ბავშვის შესახებ აცნობოს თფილისში „მომავალის“ რედაქციას და ქუთაისში რეალურ სასწავლებელში. ბავშვს აცვია მოწაფის თეთრი პარუსინის ტანისამოსი და „ფორმის“ ქუდი.

პატივისცემით ბესარიონ მუსელიანი.

(3—1)

ხ ა ს ტ უ მ რ ო

# „ბორჯომი“

თფილისი, ვოკზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწვდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით მიხაილ ქოიავა და ეგნატე შერტანავა.

(0—5)